ჟურნალის *Études interdisciplinaires en Sciences humaines* (EISH) (*ინტერდისციპლინარული კვლევები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში*) სარედაქციო კომიტეტი იღებს ფრანგულ, ინგლისურ, ქართულ, აგრეთვე ესპანურ, იტალიურ და რუმინულ ენებზე ქვემოთ მოცემული ინტრუქციების შესაბამისად შედგენილ სტატიებს. ჟურნალი ბეჭდავს მხოლოდ გამოუქვეყნებელ სტატიებს. ნებისმიერი გამოგზავნილი სტატია, რომელიც არ პასუხობს კრიტიკულ და ენობრივ მოთხოვნებს და არ არის შედგენილი ჟურნალის პუბლიკაციის ნორმების შესაბამისად, უკან დაუბრუნდება ავტორს შესწორებისათვის, ვიდრე ის ექსპერტებს გაეგზავნებათ შესაფასებლად. ყოველი სტატია ექვემდებარება ორმაგ შეფასებას: CODFREURCOR-ის სამეცნიერო კომიტეტის შეფასებას, რომელიც ადგენს, მიანიჭოს თუ არა კოლეჯის ხარისხის ნიშანი. მეორე შეფასებას ახორციელებს ჟურნალის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტი, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. მხოლოდ ავტორი აგებს პასუხს სტატიის შინაარსსა და დამოწმებული ლიტერატურის სიზუსტეზე.

პუბლიკაციის ნორმები

შედგენილია 2014 წლის ოქტომბერში

პუბლიკაციის ნორმები შეიძლება გადმოტვირთოთ აგრეთვე CODFREURCOR-ის საიტიდან www.codfreurcor.iliauni.edu.ge

სტატიის გამოგზავნამდე ავტორებს ვთხოვთ:

● სტატის სათაური დაწეროთ პიველი გვერდის თავში; შემდეგ მოაყოლოთ რეზიუმე მაქსიმუმ 200-250 სიტყვის ფარგლებში და 3-6 საკვანძო სიტყვა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, შევარჩიოთ შემფასებლები შესაბამის სფეროში;

● არ მიუთითოთ თქვენი პირადი მონაცემები სტატიის პირველ გვერდზე იმისათვის, რომ გარანტირებულ იქნას შესაფასებლად გასაგზავნი სტატიის ავტორის ანონიმურობა; თქვენი პირადი მონაცემები გამოაგზავნეთ ცალკე დოკუმენტის სახით;

● ტექსტი დაბეჭდოთ ორმაგი ინტერვალით და გამოიყენოთ Sylfaen 12;

● ტექსტის მოცულობა უნდა იყოს მაქსიმუმ 9 000 სიტყვა და მინიმუმ 3 500 სიტვა;

● **დამოწმება ციტირების შემთხვევაში**

ციტატის შემდეგ, ბრჩხილებში მიუთითეთ ავტორის გვარი და გვერდი (ან გვერდები): (Ajar 232); თუ ავტორი უკვე ტექსტში მოხსენიებული გყავთ, ბრჩხილებში მიუთითეთ მხოლოდ გვერდ(ებ)ი (135-36); თუ სათაური ტექსტში ციტატამდე მოხსენიებული გაქვთ, ამ შემთხვევაშიც ბრჩხილებში მხოლოდ გვერდები მიუთითეთ

(135-36); თუ სათაური ტექსტში მოხსენიებული არ გაქვთ, ბრჩხილებში მიუთითეთ სათაური *დახრილი ასოებით* და გვერდი პუნქტუაციის გარეშე (*La vie devant soi* 25);

ოთხ ხაზზე მეტი მოცულობის ციტატა გადმოიტანეთ შემდეგ ხაზზე ბრჭყალების გარეშე და შეწიეთ 5 ინტერვალით. ამ შემთხვევაში წერტილი უნდა დასვათ ციტატის ბოლოს, ბრჩხილებში მითითებულ დამოწმებამდე.

ტექსტში მოცემული მოკლე ციტატის მოყვანის მაგალითი:

«Retrouver l'homme selon sa dimension primitive et donc authentique, tel a toujours été le souci d'Albert Camus» (Nicolas 7).

გრძელი, შეწეული ციტატის მაგალითი:

> Quelques hommes parviennent à s'éveiller et à rester éveillés grâce à *l'ironie*. Il est peu probable, néanmoins, que l'ironie ne naisse de rien. Il semble qu'il faille au moins quelque déception. Quoique proclamant son bonheur d'être né dans le dénuement, on peut penser que Camus, secrètement affligé par sa situation, ait pris la décision de se moquer de ce qu'il ne pouvait atteindre et qu'ensuite, ayant obtenu le confort, il ait persisté dans cette attitude par fidélité à lui-même et aux valeurs que la pauvreté avait médiatisées. (Nicolas 17)

ციტატაში შემოკლება აღნიშნეთ კვადრატულ ბრჩხილებში მოცემული სამი წერტილით:

Nous avons dit que l'écrivain s'adressait en principe à tous les hommes. Mais, tout de suite après, nous avons remarqué qu'il était lu seulement de quelques-uns. […] l'auteur postule la perpétuelle répétition dans un futur indéfini de la poignée de lecteurs dont il dispose dans le présent (Sartre 158).

- არ გააკეთოთ ინტერვალი წერტილ-მძიმის, ორი წერტილის, ძახილისა და კითხვის ნიშნების წინ;
- არ გააკეთოთ ინტერვალი არც ბრჭყალის გახსნის შემდეგ, არც მისი დახურვის წინ;
- წიგნების, ჟურნალების, გაზეთების და ა.შ. სათაურები ჩაურთეთ *დახრილი ასოებით*;
- უცხო ენაზე მოცემული ციტატის თარგმანი ჩაიტანეთ გვერდის ბოლოს სქოლიოში;
- სქოლიოს ნომერი მიუთითეთ სასვენი ნიშნის შემდეგ;
- სქოლიოები მიუთითეთ გვერდის ბოლოს (და არა ტექსტის ბოლოში);
- სქოლიოში მიუთითეთ მხოლოდ დამატებითი ინფორმაცია და არავითარ შემთხვევაში ბიბლიოგრაფიული მონაცემები;
- ტექსტში ციტირებული ნაშრომების სია (ბიბლიოგრაფია) მიუთითეთ ტექსტის ბოლოს ალფავიტის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობის ზედმიწევნით დაცვით:
- **შრომების მითითება** მოახდინეთ შემდეგი თანმიმდევრობით: ერთმანეთისგან მძიმით გამოყოფილი ავტორის გვარი, სახელი (**სრულად**), ნაშრომის

დასახელება *დახრილი ასოებით*, გამოცემის ადგილი, გამომცემელი, გამოცემის წელი. თარგმნილი ნაშრომის შემთხვევაში კვადრატულ ბრჩხილებში მიუთითეთ ორიგინალის გამოცემის წელი, მთარგმნელის სახელი და გვარი.

ანონიმური შრომების შემთხვევაში, როგორიცაა **კონფერენციის მასალები**, მიუთითეთ რედაქტორ(ებ)ის გვარი და სახელი (**სრულად**), შემდეგ ბრჩხილებში (dir.), ნაშრომის დასახელება *დახრილი ასოებით*, გამოცემის ადგილი, გამომცემელი, გამოცემის წელი. **რამდენიმე ავტორის** მიერ გამოცემული კრებულის შემთხვევაში, მიუთითეთ ალფავიტის მიხედვით პირველი ავტორის გვარი, შემდეგ et al., ნაშრომის დასახელება *დახრილი ასოებით*, გამოცემის ადგილი, გამომცემელი, კოლექციის დასახელება ბრჭყალებში, გამოცემის წელი.

- **კონფერენციის მოხსენების (სტატიის) ან კოლექტიური ნაშრომის რომელიმე თავის** დამოწმების შემთხვევაში: ერთმანეთისგან მძიმით გამოყოფილი ავტორის გვარი, სახელი (**სრულად**), ტექსტის სათაური ბრჭყალებში (სწორი ასოებით), სწორი ასოებით in, კრებულის დასახელება (*დახრილი ასოებით*), კრებულის რედაქტორის გვარი, სახელი, ბრჩხილებში შემოკლებით (dir.)., გამოცემის ადგილი, გამომცემელი, გამოცემის წელი, ტექსტის (სტატიის გვერდები).
- **პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიის შემთხვევაში:** ერთმანეთისგან მძიმით გამოყოფილი ავტორის გვარი, სახელი (**სრულად**), სტატიის სათაური ბრჭყალებში (სწორი ასოებით), პერიოდული გამოცემის დასახელება (*დახრილი ასოებით*), ნომერი ან ტომი, გამოცემის თარიღი, სტატიის გვერდები (ეს უკანასკნელი ფაკულტატურია ყოველდღიურ პრესაში გამოქვეყნებული ნაშრომის შემთხვევაში).
- **ელექტრონული რესურსის** დამოწმების შემთხვევაში: სავარაუდო ავტორები, დოკუმენტის სათაური (ბრჭყალებში, სწორი ასოებით), ინტერნეტ გვერდი, ინტერნეტ გვერდის ან მოხმობილი დოკუმენტის სრული მისამართი, ბრჩხილებში მიუთითეთ გვერდის ნახვის თარიღი.
- **გამოქვეყნებულ სტატიებზე პასუხისმგებლები არიან მხოლოდ ავტორები.**

ავტორებს ვთხოვთ, არ გააგზავნონ თავიანთი სტატია სხვა ჟურნალებში, ვიდრე მათი ტექსტი გადის CODFREURCOR-ის ჟურნალის შეფასების პროცედურას.

ჟურნალის რედაქცია უფლებას იტოვებს, შეიტანოს სტილისტური და საგამომცემლო შესწორებები გამოსაქვეყნებლად მიღებულ სტატიებში.